სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 20
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 21
6. საბანკო ანაბრები 22
7. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები 22
8. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით 22
9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები 23
10. გადასახადები 37
11. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება 39
12. საინვესტიციო ქონება 39
13. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები 40
14. სხვა აქტივები 41
15. საკუთარი კაპიტალი 41
16. ნასესხები სახსრები 42
17. სხვა ვალდებულებები 43
18. პირობითი ვალდებულებები 44
19. ინვესტიციის შედეგი 45
20. საპროცენტო ხარჯი 45
21. სხვა შემოსავალი და ხარჯი 45
22. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები 45
23. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 46
24. გაუფასურების ხარჯი 46
25. არარეგულარული დანახარჯი 46
26. რისკისა და კაპიტალის მართვა 47
27. სამართლიანი ღირებულების შეფასება 53
28. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 55
29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 57

Building a better working world

შპს იუაი
საქართველო, 0105, თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC
44 Kote Abkhazi street
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“–ის აქციონერსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“–ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს–ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“* – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს–ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს–ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

Building a better working world

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს–ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს–ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ–ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

Building a better working world

ასს–ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა–განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

Building a better working world

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დმიტრო იურგელევიჩი (SARAS–A–644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS–F–855308)

2025 წლის 15 აპრილი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	6,445	4,173
საბანკო ანაბრები	6	32,353	25,994
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	7	984	3,072
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	8	557	1,796
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	9	12,220	3,102
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	9	340	
ძირითადი საშუალებები	11	8,770	11,727
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	13	5,998	5,794
საინვესტიციო ქონება	12	–	9,313
სხვა აქტივები	14	1,156	3,083
მთლიანი აქტივები		**68,823**	**68,054**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	6,866	7,558
დამატებით შეტანილი კაპიტალი		9,150	17,159
გაუნაწილებელი მოგება		14,982	12,811
სულ საკუთარი კაპიტალი	**15**	**30,998**	**37,528**
ვალდებულებები			
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		–	715
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	9	26,750	17,120
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	9	2,393	1,331
ნასესხები სახსრები	16	–	3,206
სხვა ვალდებულებები	17	8,682	8,154
მთლიანი ვალდებულებები		**37,825**	**30,526**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**68,823**	**68,054**

ხელმოწერილი და დამტკიცებულია გამოსაცემად სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ–ის“ დირექტორთა საბჭოს მიერ:

გენერალური დირექტორი — ნოდარ გელოვანი

ფინანსური დირექტორი — არჩილ ქაჯაია

2025 წლის 15 აპრილი

თბილისი, საქართველო

5–57 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	6,445	4,173
საბანკო ანაბრები	6	32,353	25,994
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	7	984	3,072
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	8	557	1,796
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	9	12,220	3,102
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	9	340	
ძირითადი საშუალებები	11	8,770	11,727
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	13	5,998	5,794
საინვესტიციო ქონება	12	–	9,313
სხვა აქტივები	14	1,156	3,083
მთლიანი აქტივები		**68,823**	**68,054**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	6,866	7,558
დამატებით შეტანილი კაპიტალი		9,150	17,159
გაუნაწილებელი მოგება		14,982	12,811
სულ საკუთარი კაპიტალი	15	**30,998**	**37,528**
ვალდებულებები			
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		–	715
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	9	26,750	17,120
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	9	2,393	1,331
ნასესხები სახსრები	16	–	3,206
სხვა ვალდებულებები	17	8,682	8,154
მთლიანი ვალდებულებები		**37,825**	**30,526**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**68,823**	**68,054**

ხელმოწერილი და დამტკიცებულია გამოსაცემად სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ–ის“ დირექტორთა საბჭოს მიერ:

გენერალური დირექტორი — ნოდარ გელოვანი

ფინანსური დირექტორი — არჩილ ქაჯაია

2025 წლის 15 აპრილი

თბილისი, საქართველო

5–57 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2024*	*2023*
სადაზღვევო ამონაგები		108,795	92,401
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი		(88,624)	(75,418)
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი, ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებამდე	**9**	**20,171**	**16,983**
გადაზღვევის პრემიების განაწილება		(937)	(1,051)
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის გადამზღვეველებისგან ანაზღაურებადი თანხები		42	216
შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან		–	146
წმინდა ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	**9**	**(895)**	**(689)**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი		**19,276**	**16,294**
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო ამონაგები		3,879	4,351
სამართლიანი ღირებულების წმინდა შემოსულობა/(ზარალი) ფინანსური აქტივებიდან, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით		104	(54)
გაუფასურების (ზარალი)/შემოსულობა ფინანსური აქტივებიდან		(60)	7
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი / (შემოსულობა)		(52)	143
მთლიანი საინვესტიციო შემოსავალი	**19**	**3,871**	**4,447**
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	22	(8,140)	(6,476)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	23	(2,672)	(2,023)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	11,13	(2,122)	(2,349)
სადაზღვევო ხელშეკრულებებზე გაუფასურების ხარჯი	9	(327)	(265)
საპროცენტო ხარჯი	20	(264)	(876)
სხვა შემოსავალი და ხარჯი	21	(64)	51
ზარალი აქტივის გამოყენების უფლების გასვლის შედეგად და სხვა არარეგულარული დანახარჯები	25	(959)	–
დასაბეგრი მოგება		**8,599**	**8,803**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	–	(1,717)
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**8,599**	**7,086**

5–57 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწი–ლებელი მოგება	სულ
01 იანვარი, 2023 წ.		**7,582**	**16,950**	**10,786**	**35,318**
პერიოდის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		–	–	7,086	**7,086**
აქციებზე დაფუძნებული ოპერაციები	15	(24)	209	–	**185**
კომპანიის მფლობელებზე გაცემული დივიდენდები	15	–	–	(5,061)	**(5,061)**
31 დეკემბერი, 2023 წ.		**7,558**	**17,159**	**12,811**	**37,528**
პერიოდის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		–	–	8,599	**8,599**
აქციებზე დაფუძნებული ოპერაციები		33	579	–	**612**
სააქციო კაპიტალის შემცირება	15	(725)	(8,588)	–	**(9,313)**
კომპანიის მფლობელებზე გაცემული დივიდენდები	15	–	–	(6,428)	**(6,428)**
31 დეკემბერი, 2024 წ.		**6,866**	**9,150**	**14,982**	**30,998**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული სადაზღვევო პრემია	9	103,038	87,697
გადახდილი გადაზღვევის პრემია	9	(8)	–
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	9	(78,873)	(69,035)
მიღებული გადაზღვევის მოთხოვნები	9	191	41
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები	9	(2,483)	(2,283)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(8,102)	(6,278)
საქონლისა და მომსახურების სხვა მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხა		(2,725)	(1,855)
მიღებული პროცენტი		3,720	3,594
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(15)	(772)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები დაბეგვრამდე		**14,743**	**11,109**
გადახდილი მოგების გადასახადი		(627)	(224)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**14,116**	**10,885**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		–	(3,558)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან		3,421	6,280
ძირითადი საშუალებების შეძენა		(895)	(3,404)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(316)	(157)
საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხების განთავსება		(30,699)	(27,295)
საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხების გამოტანა		24,511	21,038
შემოსულობა წარმოებული ფინანსური აქტივებიდან		–	1,577
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		2,571	538
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,407)**	**(4,981)**
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები	16	500	4,914
ნასესხები სახსრების დაფარვა	16	(3,686)	(6,017)
გადახდილი დივიდენდები	15	(6,425)	(5,061)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი	17	(167)	(192)
სალიზინგო ვალდებულებების დაფარვა	17	(535)	(478)
გადახდილი პროცენტი	16	(170)	(534)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(10,483)**	**(7,368)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		46	(22)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		**2,272**	**(1,486)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		**4,173**	**5,659**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**5**	**6,445**	**4,173**

5–57 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

1998 წლის 11 აგვისტოს სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ (შემდგომში „ალდაგი“) დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2014 წელს ალდაგმა განიცადა რეორგანიზაცია, რომლის მიზანიც იყო ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულების გამიჯვნა ქონების და სიცოცხლის რისკების დაზღვევის საქმიანობისგან. რეორგანიზაცია 2014 წლის 31 ივლისს დასრულდა ორი ინდივიდუალური სამეურნეო ერთეულის შექმნით: სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“ (შემდგომში „იმედი ელ“ ან „კომპანია“) და სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“. „იმედი ელს“ დარჩა მანამდე არსებული „ალდაგის“ გადასახადის გადამხდელის ძველი საიდენტიფიკაციო ნომერი – 204919008 და მიიჩნევა ძველი კომპანიის სამართალმემკვიდრედ.

„იმედი ელ“–ის ჯანმრთელობის დაცვის ბიზნესი მოიცავს პირადი რისკის დაზღვევის ფართო სპექტრის მომსახურებას: კრიტიკული დაავადებების, უბედური შემთხვევის, სიცოცხლის რისკების ვადიანი დაზღვევის და სხვა მომსახურებას, და მათ ჯანმრთელობისა და მოგზაურობის დაზღვევის პოლისებთან ერთად სთავაზობს კორპორაციულ თუ საცალო კლიენტებს.

„იმედი ელ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი ტიპის სადაზღვევო ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურებისთვის.

კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, და ასევე აქვს სერვისცენტრები თბილისში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში, ახალციხეში, რუსთავსა და გორში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, 0154, თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #9.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%–იანი აქციონერი იყო სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“, რომლის საბოლოო მფლობელია დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული საწარმო – საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“.

2024 წლის ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში, კომპანიის შუალედურმა მშობელმა საწარმომ – სს „საქართველოს კაპიტალმა“ (საწარმო, რომელიც ფლობს მაკონტროლებელ წილს კომპანიის უშუალო მშობელ საწარმოში – სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფში“) მოახდინა მთელი თავისი სადაზღვევო მიმართულებების კონსოლიდაცია ერთ ჰოლდინგურ კომპანიაში – სს „ა ჯგუფში“ („მშობელი საწარმო“). ამის შედეგად კომპანია, სს „საქართველოს კაპიტალის“ მიერ კონტროლირებულ სხვა სადაზღვევო ორგანიზაციებთან ერთად (სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ და სს „სადაზღვევო კომპანია არდი“) გახდა პირდაპირ ფლობილი და კონტროლირებული ერთი მშობელი საწარმოს – სს „ა ჯგუფის“ მიერ, რომელიც არის სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“–ის 100%–იანი წილის მფლობელი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და რომლის საბოლოო მფლობელია საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ სხვა რამე არ არის აღნიშნული ქვემოთ, სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში – ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები

კომპანია აფორმებს სადაზღვევო ხელშეკრულებებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რითაც იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს თავისი დამზღვევებისგან. იმისათვის, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა მნიშვნელოვანი სადაზღვევო რისკი, კომპანია, გავრცელებული წესის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გადასახდელ სადაზღვევო ანაზღაურებას ადარებს გადასახდელ ანაზღაურებას, სადაზღვევო შემთხვევა რომ არ დამდგარიყო. სადაზღვევო ხელშეკრულებებით ფინანსური რისკის გადაცემაც შეიძლება.

კომპანია ასევე აფორმებს გადაზღვევის ხელშეკრულებებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რათა აუნაზღაუროს სხვა საწარმოებს მათ მიერ გაფორმებული ერთი ან მეტი გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნები.

კომპანია არ აფორმებს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავს პირდაპირ მონაწილეობის პირობებს.

აგრეგირების დონე

ფასს 17–ის მიხედვით, კომპანია ვალდებულია განსაზღვროს აგრეგირების დონე სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპანიისთვის აგრეგირების დონე განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის პორტფელებად დაყოფით. პორტფელები მოიცავს მსგავსი რისკების მქონე ხელშეკრულებების ჯგუფებს, რომლებიც ერთად იმართება. პორტფელები, თავის მხრივ, იყოფა სამ კატეგორიად მათი გაფორმების დროს მოსალოდნელი მომგებიანობის მიხედვით: წაგებიანი ხელშეკრულებები, წაგებიანად ქცევის მნიშვნელოვანი რისკის არმქონე ხელშეკრულებები და დანარჩენები. ეს იმას ნიშნავს, რომ აგრეგირების დონის დასადგენად კომპანია ხელშეკრულებს განსაზღვრავს უმცირეს „ერთეულად“, ანუ უმცირეს საერთო მნიშვნელად. თუმცა, კომპანია აფასებს, ხელშეკრულებების გარკვეული რაოდენობა უნდა აღირიცხოს თუ არა ერთად, როგორც ერთი ერთეული, გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თუ ერთი ხელშეკრულება შეიცავს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც უნდა გაიმიჯნოს და აღირიცხოს, როგორც ინდივიდუალური ხელშეკრულებები. ის, თუ რა აღირიცხება, როგორც ხელშეკრულება ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, თუ რა მიიჩნევა ხელშეკრულებად სხვა მიზნებისთვის (მაგ. იურიდიული ან მართვის).

ფასს 17 ასევე მოითხოვს, რომ აგრეგირების მიზნით ერთ დონეზე მოქცეული ჯგუფი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა გაფორმების თარიღსაც ერთმანეთისგან ერთ წელზე მეტი აშორებს. კომპანიამ არჩია ერთად დაეჯგუფებინა ხელშეკრულებები, რომლებიც სხვა ჯგუფებში აღმოჩნდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ კანონი ან რეგულაცია ზღუდავს მის პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომ სხვა ფასი ან სარგებლის დონე განუსაზღვროს სხვადასხვა მახასიათებლის მქონე დამზღვევებს.

კომპანიამ ფასს 17–ზე გადასვლისთვის გამოიყენა სრულად რეტროსპექტიული მიდგომა. პორტფელები შემდეგ კიდევ იყოფა გაფორმების წლის და მომგებიანობის მიხედვით, აღიარებისა და შეფასების მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე, ყოველ წელს გაფორმებული ხელშეკრულებების პორტფელები სამ ჯგუფად იყოფა:

- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც წაგებიანია საწყისი აღიარებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებსაც საწყისი აღიარებისას არ აქვს შემდგომში წაგებიანად ქცევის მნიშვნელოვანი ნიშნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი პორტფელში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ხელშეკრულებების ჯგუფების მომგებიანობა ფასდება აქტუარული შეფასების მოდელებით, რომლებიც მხედველობაში იღებს არსებულ და ახალ ბიზნესს. კომპანია უშვებს, რომ პორტფელში საწყისი აღიარებისას არ არსებობს წაგებიანი ხელშეკრულებები, თუ ფაქტები და გარემოებები საპირისპიროზე არ მიუთითებენ. იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არ არის წაგებიანი, კომპანია აფასებს საწყისი აღიარებისას, რომ არ არსებობს შემდგომში წაგებიანად გადაქცევის მნიშვნელოვანი ნიშნები, რისთვისაც აფასებს არსებულ ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილებების ალბათობას.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

აგრეგირების დონე (გაგრძელება)

კომპანია შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, ხელშეკრულებების ჯგუფი წაგებიანია თუ არა:

- ინფორმაცია ფასწარმოქმნის შესახებ;
- მის მიერ აღიარებული მსგავსი ხელშეკრულებებიდან მიღებული გამოცდილება;
- გარემოს ფაქტორები, მაგ. ცვლილება ბაზარზე ან რეგულაციებში.

კომპანია ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელებსაც ზემოაღნიშნული პრინციპების მიხედვით ყოფს, იმ განსხვავებით, რომ წაგებიან ხელშეკრულებებზე მითითება ეხება იმ ხელშეკრულებებს, რომლებზეც მიიღება წმინდა სარგებელი საწყისი აღიარებისას. ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ზოგიერთი ჯგუფის შემთხვევაში, ჯგუფს შეუძლია შეადგინოს ერთიანი ხელშეკრულება.

აღიარება

კომპანია აღიარებს თავის მიერ გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, ჩამოთვლილთაგან უადრესი თარიღით:

- ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის ათვლის დასაწყისი;
- თარიღი, როდესაც ჯგუფში შემავალ დამზღვევს უწევს პირველი გადახდა ან როდესაც მიიღება პირველი გადახდა, თუ პირველი გადახდის თარიღი არ არის დადგენილი;
- წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფის შემთხვევაში, თუ ფაქტები და გარემოებები მიანიშნებენ იმაზე, რომ ჯგუფი წაგებიანია.

კომპანია აღიარებს თავის მიერ გაფორმებული ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფს, ჩამოთვლილთაგან უადრესი თარიღით:

- ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი; თუმცა კომპანია გადაავადებს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის აღიარებას, რომელიც უზრუნველყოფს პროპორციულ დაფარვას რომელიმე საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულების საწყისი აღიარების თარიღამდე, თუ ეს თარიღი უფრო გვიან დგება, ვიდრე ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის ათვლის დაწყების თარიღი;
- თარიღი, როდესაც კომპანია აღიარებს საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიან ჯგუფს, თუ კომპანიამ გააფორმა შესაბამისი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც შედის ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფში, ამ თარიღით ან ამ თარიღამდე.

კომპანია ახალ ხელშეკრულებებს უმატებს ჯგუფს იმ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ეს ხელშეკრულება აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ–ერთ კრიტერიუმს.

ხელშეკრულების ფარგლები

კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის შეფასებაში ითვალისწინებს ყველა სამომავლო ფულად ნაკადს, ჯგუფში არსებული თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში. ფულადი ნაკადები არის სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში, თუ ისინი წარმოიშობა არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც კომპანიას შეუძლია აიძულოს დამზღვევს პრემიების გადახდა ან რომელშიც კომპანიას აქვს არსებითი ვალდებულება, დამზღვევს გაუწიოს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებები – თავდაპირველი შეფასება

კომპანიამ პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა (PAA) მიიღო, როგორც ფასს 17–ის ზოგადი მოდელის გამარტივებული მიდგომა და პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას მიმართავს ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის, რომელსაც უშვებს და გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის, რომლებსაც ის ფლობს.

ბიზნესის ყველა მიმართულების დაზღვევის და გადაზღვევის პერიოდი მიჩნეულია, რომ არის ერთი წელი ან ნაკლები და ამრიგად იგი ავტომატურად აკმაყოფილებს PAA–ის კრიტერიუმს. ერთ წელზე მეტი სადაზღვევო დაფარვის ვადის მქონე ხელშეკრულებები პორტფელის მცირე ნაწილია და არ არსებობს არსებითი განსხვავება დარჩენილი დაფარვის ვადის ვალდებულების შეფასების მხრივ PAA–სა და ზოგად მოდელს შორის, შესაბამისად, ისინი აკმაყოფილებს PAA–ის კრიტერიუმს.

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები – თავდაპირველი შეფასება

კომპანია აფასებს თავის გადაზღვევის აქტივებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, რომელსაც ფლობს იმავე საფუძველზე, როგორზეც მის მიერ გაფორმებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს.

სადაზღვევო ხელშეკრულებები – შემდგომი შეფასება

კომპანია აფასებს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როგორც დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას პერიოდის დასაწყისში:

- დამატებული პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემიები;
- გამოკლებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები;
- დამატებული ყოველგვარი თანხა, რომელიც უკავშირდება დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციას, რომელიც აღიარებულია ხარჯად კომპანიის საანგარიშგებო პერიოდში;
- გამოკლებული პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული სადაზღვევო ამონაგების თანხა.

კომპანია დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს აფასებს, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულად ნაკადებს, რომლებიც უკავშირდება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს. გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მიუკერძოებლად ითვალისწინებს მიზანშეუწონელი დანახარჯების თუ ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ ყველანაირ დასაბუთებულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობას, მათი წარმოშობის დროსა და დაკავშირებულ განუსაზღვრელობას; ისინი ასახავს კომპანიის ხედვით ამჟამინდელ შეფასებებს და მოიცავს არაფინანსური რისკის აშკარა კორექტირებებს (რისკის კორექტირება). კომპანია არ აკორექტირებს სამომავლო ფულად ნაკადებს ფულის დროითი ღირებულების და ფინანსურ რისკის ეფექტის მიხედვით, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესაფასებლად, რომელთა გადახდა მოსალოდნელია მათი გაწევიდან ერთი წლის ვადაში.

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები – შემდგომი შეფასება

ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების შემდგომი შეფასება იმავე პრინციპით ხდება, როგორითაც გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებებისა და ადაპტირებულია ისე, რომ ასახოს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების სპეციფიკური თვისებები.

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები წარმოიშობა გაყიდვების დანახარჯებიდან, ანდერაიტინგიდან და სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის გაფორმებიდან (რომლებიც უკვე გაფორმებულია ან რომელთა გაფორმება მოსალოდნელია), რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელისთვის, რომელსაც ჯგუფი მიეკუთვნება.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებები – მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც:

- როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები შეწყდება (ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება). ან
- ხელშეკრულების მოდიფიკაცია ხდება ისე, რომ მოდიფიკაცია განაპირობებს ცვლილებას შეფასების მოდელში ან ხელშეკრულების კომპონენტის შესაფასებლად გამოყენებულ სტანდარტში, არსებითად ცვლის ხელშეკრულების ფარგლებს ან მოითხოვს, რომ მოდიფიცირებული ხელშეკრულება შევიდეს სხვა ჯგუფში. ასეთ შემთხვევებში კომპანია ახდენს თავდაპირველი ხელშეკრულების აღიარების შეწყვეტას და მოდიფიცირებულ ხელშეკრულებას აღიარებს ახალი ხელშეკრულების სახით.

როდესაც მოდიფიკაცია არ აღირიცხება, როგორც აღიარების შეწყვეტა, კომპანია აღიარებს ხელშეკრულების მოდიფიკაციისთვის გადახდილ ან მიღებულ თანხებს, როგორც შესაბამისი დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების კორექტირებას.

წარდგენა

კომპანიას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე აქვს წარმოდგენილი გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც არის აქტივები, გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის ვალდებულებები, ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის აქტივები და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელები, რომლებიც არის ვალდებულებები.

დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივები, რომლებიც აღიარებულია შესაბამის სადაზღვევო ხელშეკრულებებამდე, ასახულია სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი ჯგუფების საბალანსო ღირებულებაში და განაწილებულია იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებსაც ისინი უკავშირდება.

კომპანია ახდენს მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული მთლიანი თანხის დეზაგრეგირებას გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგად, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯს.

ურთიერთგადაფარვა

მსხვილ კონტრაჰენტებთან გაფორმებული დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და ურთიერთგაქვითვის სურვილი.

კომპანია არ ახდენს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის ცვლილების დეზაგრეგირებას ფინანსურ და არაფინანსურ ნაწილს შორის და მთლიანი თანხის ცვლილებას ასახავს, როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილს.

კომპანია გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან მიღებული ხარჯებისა და შემოსავლისგან განცალკევებით წარმოადგენს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალს და ხარჯებს.

სადაზღვევო ამონაგები

კომპანია იყენებს სადაზღვევო ამონაგების აღიარების ორ ცალკე მეთოდს. ჯანმრთელობის დაზღვევის გარდა, ყველა თავისი პროდუქტისთვის ამონაგების აღიარება ხდება დროთა განმავლობაში. ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, ამონაგების აღიარება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების პროპორციულია. ამას განაპირობებს ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტების რისკისგან არათანაბარი გათავისუფლება.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

წმინდა შემოსავალი ან ხარჯი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

კომპანია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცალ–ცალკე წარადგენს მზღვეველის მიერ ანაზღაურებულ თანხებს და გადაზღვევისთვის გადახდილი პრემიების განაწილების თანხებს. კომპანია გადაზღვევასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, რომლებიც პირობითია და დამოკიდებულია საბაზისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სადაზღვევო შემთხვევებზე, ასახავს იმ სადაზღვევო შემთხვევების შემადგენლობაში, რომელთა ანაზღაურება მოსალოდნელია ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების მეშვეობით; და გამორიცხავს საინვესტიციო კომპონენტებს და საკომისიოებს გადაზღვევის პრემიების განაწილებას, რომლებიც წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

საწყისი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების თარიღით და ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით. გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა, ამ თანხას ემატება გარიგების დანახარჯები.

შეფასების კატეგორიები

კომპანიის მიერ ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ამ კატეგორიაში შედის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც იმართება სამართლიანი ღირებულების ბიზნეს მოდელით ან რომლებიც ხელმძღვანელობამ საწყისი აღიარებისას მიაკუთვნა მას, ან, ფასს 9–ის მიხედვით, სავალდებულოა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასება. ამ კატეგორიაში შედის სავალო ინსტრუმენტები, რომელთა ფულადი ნაკადები ვერ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (SPPI) ტესტის კრიტერიუმს და მათი ფლობის ბიზნესმოდელის მიზანი არ არის ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება მათგან, ისე მათი გაყიდვა.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგება–ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. იმ აქტივებზე გამომუშავებული პროცენტი, რომელთა სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეფასება სავალდებულოა, აღირიცხება სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება შენარჩუნებული მონაწილეობის პირობით. შენარჩუნებული მონაწილეობა, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ორ ეტაპად ხდება. იმ კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12–თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის წარმოიშობა დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტის სიტუაციაში (საკრედიტო რისკით გაუფასურებულად) მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის სცენარებზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად კომპანიისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის.

ვინაიდან კომპანიას არ აქვს საკუთარი დეფოლტისა და საკრედიტო ზარალის სტატისტიკა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს ანალოგიური კომპანიების საბაზრო მონაცემებს დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შესახებ, რომლებსაც იღებს აღიარებული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშებიდან. მიღებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ჩვეულებრივ არაარსებითია საკრედიტო ხარისხისა და კომპანიის იმ სავალო ინსტრუმენტების ვადების გათვალისწინებით, რომლებიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნებს.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა (გაგრძელება)

კომპანია თავის აქტივებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიხედვით ანაწილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე კატეგორიაზე;

- 12–თვიანი საკრედიტო ზარალი – გამოითვლება, როგორც აქტივის გრძელვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. კომპანია 12–თვიანი საკრედიტო ზარალის რეზერვს გამოითვლის საანგარიშგებო თარიღის შემდგომი 12 თვის განმავლობაში დეფოლტის დადგომის მოლოდინის საფუძველზე. ეს მოსალოდნელი 12–თვიანი დეფოლტის ალბათობები გამოიყენება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროგნოზზე, მრავლდება დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებაზე და დისკონტირდება სათანადო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთით. ეს გამოთვლა ხორციელდება თითოეული სცენარისთვის, როგორც ზემოთ არის აღწერილი;
- აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი – როდესაც ინსტრუმენტის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. სპეციფიკა ზემოთ განმარტებულის მსგავსია, სხვადასხვა სცენარის გამოყენების ჩათვლით, მაგრამ დეფოლტის ალბათობები და დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება ინსტრუმენტის მთელ ვადაზე. მოსალოდნელი ზარალის დისკონტირება ხდება სათანადო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;
- გაუფასურება – იმ სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად, კომპანია აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ეს მეთოდი აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის გამოყენებული მეთოდის მსგავსია, მაგრამ დეფოლტის ალბათობა, ამ შემთხვევაში, 100%–ით არის განსაზღვრული.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია გარკვეულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად, წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 26–ე შენიშვნაში.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ფასს 9–ის მიხედვით, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთს მეთოდით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა სავალო ფინანსური აქტივისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ახდენს მომავალში სავარაუდოდ მიღებული ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ფინანსური აქტივის მოსალოდნელ ვადაზე, ან, როცა ეს მიზანშეწონილია, უფრო მოკლე პერიოდზე, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე (გარდა საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივებისა, რა შემთხვევაშიც საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მათ წმინდა საბალანსო ღირებულებაზე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოქვითვის შემდეგ).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (და, შესაბამისად, ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება) გამოითვლება გარიგების დანახარჯებისა და ფინანსური აქტივის შეძენისას ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის გათვალისწინებით, ასევე იმ საკომისიოებისა და დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიჩნეული აქტივების გარდა, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. საწყისი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისა და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. თვითღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებით, როდესაც გარკვეული მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
საოფისე შენობები	100–მდე
ავეჯი და მოწყობილობები	10
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება–განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები დაირიცხება მათი გაწევისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

იჯარა

იჯარების შეფასება და აღიარება მოიჯარედ

იჯარის დაწყების დღეს კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ბალანსზე. აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შედგება საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასებისგან, კომპანიის მიერ ნაკისრი ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებისგან, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟის და მოხსნის სავარაუდო დანახარჯებისგან და ყოველგვარი საიჯარო გადახდებისგან, რომლებიც ხორციელდება იჯარის ვადის დაწყების თარიღამდე (მიღებული შეღავათების გამოკლებით).

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით, იჯარის დაწყების თარიღიდან აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლო თარიღსა და იჯარის ვადის ბოლო თარიღს შორის უადრესამდე. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურება, როდესაც არსებობს გაუფასურების ნიშნები.

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აფასებს საიჯარო ვალდებულებას ამ თარიღისთვის გადაუხდელი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით< თუ ეს განაკვეთი არის ხელმისაწვდომი, ან კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით.

კომპანიამ არჩია მოკლევადიანი იჯარების და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარების აღრიცხვა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, მათთან დაკავშირებული გადახდების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგებაში ან ზარალში, იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივის გამოყენების უფლება აისახება ძირითად საშუალებებში, ხოლო საიჯარო ვალდებულებები აისახება სხვა ვალდებულებებში.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 1–10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

გუდვილი

გუდვილის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს თანხას, რომლითაც არამაკონტროლებელი წილისთვის გადაცემული საზღაურისა და მისი აღიარებული ოდენობის, ასევე მანამდე ფლობილი წილის ჯამი მეტია წმინდა შეძენილ იდენტიფიცირებად აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებზე.

საწყისი აღიარების შემდეგ გუდვილის შეფასება ხდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების დადგენის მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას წარმოქმნილი გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულებზე, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, ისარგებლებენ გაერთიანებით, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს შეძენილი კომპანიის სხვა აქტივები მიეკუთვნება, თუ ვალდებულებები.
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ გამოავლინა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთი ერთეული – სამედიცინო დაზღვევის მიმართულება – გუდვილის განაწილებისა და გაუფასურების ტესტირების მიზნით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ყოველგვარ პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯს (მაგ. პროფესიული გასამრჯელო იურიდიული მომსახურებისთვის, ქონების გადაცემისთვის გადასახადი).

შედეგად, საინვესტიციო ქონებაც თვითღირებულების მოდელის თანახმად აღირიცხება, ბასს 16–ის მოთხოვნების შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასვლისთანავე ან როდესაც საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან ამოღება ხდება სამუდამოდ და მოსალოდნელი არ არის მისი გასვლით მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ქონების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება ქონების აღიარების შეწყვეტა.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 1 იანვარს საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო რეჟიმი სადაზღვევო კომპანიებისთვის. 2024 წლიდან კომპანია დაექვემდებარა 0%–იან საგადასახადო განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე, ხოლო მოგების გადასახადი ერიცხება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე დივიდენდების სახით განაწილებულ მოგებაზე. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდების გამოცხადების დროს. შესაბამისად, კომპანიას არ აუღიარებია გადავადებული გადასახადები, ვინაიდან გაუნაწილებელ მოგებაზე მოქმედი 0%–იანი განაკვეთი გამოიყენება გადავადებული გადასახადის შეფასების მიზნებისთვის.

დივიდენდების განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულებების ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

კომპანიას უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2015–2023 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები ასევე ასახელებს ოპერაციებს, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის ითვლება დივიდენდის განაწილებად. ასეთი ოპერაციებია:

- არასაბაზრო ფასებით შესრულებული ოპერაცია;
- ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ბიზნესოპერაციებს;
- საქონლისა და მომსახურების უსასყიდლოდ გადაცემა.

ასეთ ოპერაციაზე საგადასახადო ვალდებულებები აისახება, როგორც სხვა საოპერაციო გადასახადები.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

კომპანიის წამყვანი ხელმძღვანელობა იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რა შემთხვევაშიც დასაქმებულები მომსახურებას სწევენ კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ყველა გამოცხადებული სქემა წარმოადგენს ოპერაციებს წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით.

გაცემული ჯილდოების სამართლიანი ღირებულება ფასდება უფლების მინიჭების თარიღისთვის და აღიარდება ხარჯად უფლების გადაცემის პერიოდზე წრფივი დარიცხვით, და კორექტირდება უფლების მოსალოდნელი ჩამორთმევის მიხედვით. აქციებზე დაფუძნებული ყველა გადახდის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, ხოლო შესაბამისი ზრდა აისახება საკუთარ კაპიტალში.

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსულობიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია ვალდებულებად და კაპიტალიდან გამოიქვითება ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდებზე ინფორმაციის წარმოდგენა ხდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება ან თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

არარეგულარული მუხლები

კომპანია ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. კომპანია არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის კომპანიის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და მიკუთვნებადია განუსაზღვრელი ან არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებისთვის.

ამასთან, იმის შეფასებისას ოპერაცია ან მოვლენა არის თუ არა არარეგულარული, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს, ასეთი ოპერაცია გასულ პერიოდში განხორციელდა (არანაკლებ ბოლო სამი წლის განმავლობაში) და აფასებს მის სიხშირეს საბოლოო დასკვნის გამოტანამდე. როდესაც ხდება აქტივის კლასიფიცირება არარეგულარულ მუხლად და მისი ცალკე წარმოდგენა, ხელმძღვანელობა მიმართავს განსჯას იმის დასადგენად, ასეთი წარდგენა უტყუარად და სამართლიანად ასახავს თუ არა საწარმოს საქმიანობის შედეგებს და აადვილებს ფინანსური ანგარიშგების გაგებას.

უცხოური ვალუტის გადაყვანა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაყვანა ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც (ზარალი)/შემოსულობა საკურსო სხვაობებიდან.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ–ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია საკურსო სხვაობებიდან (ზარალის)/შემოსულობის მუხლში. სებ–ის ოფიციალური გაცვლითი კურსი ასეთია:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

წლის საშუალო კურსი	2024	2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7206	2.6279
1 ევრო/ლარი	2.9437	2.8416

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

რისკის მართვის სტრატეგიის ფარგლებში, კომპანია იყენებს სავალუტო კონტრაქტებს, რომ მართოს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკი. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება და შემდეგ მათი შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

კომპანიამ პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (თუ სხვა რამე არ არის მითითებული). კომპანიას ვადამდე არ გამოუყენებია სხვა ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

ცვლილებები ფასს (IFRS) 16–ში – საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში

ცვლილებები ფასს 16–ში აზუსტებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც გამყიდველი მოიჯარე იყენებს საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში, რათა გამყიდველმა მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის რამე თანხა, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ აქტივის გამოყენების უფლებას. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 1–ში – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ცვლილებები ბასს (IAS) 1–ში აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში;
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას;
- რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

გარდა ამისა, საწარმოს მოეთხოვება ინფორმაციის წარდგენა მაშინ, როდესაც სასესხო ხელშეკრულებიდან წარმომდგარი ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება და საწარმოს უფლება, გადაავადოს სესხის დაფარვა დამოკიდებულია თორმეტი თვის განმავლობაში სამომავლო პირობების შესრულებაზე.

ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციასა და მის განმარტებით შენიშვნებზე.

ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7–ში და ფასს (IFRS) 7–ში

ცვლილებები ბასს 7–ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7–ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“, რომელთა მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების თავისებურებების განმარტება და ასეთი გარიგებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნა. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ ცვლილებებში მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმაროს, უკეთ გაიგონ მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე და ლიკვიდურობის რისკის მოცულობაზე. ეს ცვლილებები არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიაზე და ამიტომ დამატებითი განმარტებითი შენიშვნები არ არის წარმოდგენილი.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე და აგრძელებს მათი გავლენის შეფასებას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს (IAS) 21–ში

2023 წლის აგვისტოში ბასსს–მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21–ში *„უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“*, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

(ათას ლარში)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

არ არის მოსალოდნელი, რომ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასსს–მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1–ს *„ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“*. ფასს 18–ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად.

გარდა ამისა, ბასს 7–ში *„ფულადი ნაკადების ანგარიშგება“* შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგება–ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

კომპანია ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ფინანსურ ანგარიშგებებზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. ეს სტანდარტები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას კომპანიაზე:

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის მაისში ბასსს–მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს–ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10–ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს–ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც.

კომპანია არ მოელის, რომ ფასს 19–ის გამოყენება დაეკისრება, რადგან მას აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება, როგორც სადაზღვევო კომპანიას.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ქვემოთ განხილულია საანგარიშგებო თარიღისთვის მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შეფასების სხვა მთავარი წყაროები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

არაფინანსური რისკი

რისკის კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე არის კომპენსაცია, რომელსაც კომპანია მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების ფულადი ნაკადების ოდენობასა და წარმოშობის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გამო. რისკის კორექტირება ასახავს თანხას, რომელსაც მზღვეველი გონივრულ ფარგლებში გადაიხდიდა იმ განუსაზღვრელობის აღმოსაფხვრელად, რომ მომავალი ფულადი ნაკადები გადააჭარბებს მოსალოდნელი ღირებულების ოდენობას.

კომპანია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და აქვს ყოველთვიური სავალდებულო საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა. ამ რეგულაციის მიხედვით, კომპანია ვალდებულია იქონიოს გარკვეული რეზერვები როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური რისკისთვის. მთლიანი სავალდებულო რეზერვიდან, კომპანიის ხელმძღვანელობა შიდა წესით 10%–ს ანაწილებს არაფინანსურ რისკებზე და იყენებს კაპიტალის ხარჯის მიდგომას არაფინანსური რისკის აღრიცხვისადმი. რისკის მიხედვით დაკორექტირებული ვალდებულების ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 471 ლარი იყო (2023 წლის 31 დეკემბერი: 360 ლარი), რომელიც შეფასდა 20%–იანი კაპიტალის ხარჯის გამოყენებით (2023 წ.: 17.5%).

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება

წაგებიანი ჯგუფები

ხელშეკრულებების იმ ჯგუფისთვის, რომელიც არის წაგებიანი, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება განისაზღვრება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით. ნებისმიერი ზარალის კომპენსაციის კომპონენტი განისაზღვრება საბაზისო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის კომპონენტთან და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების მოთხოვნებზე მოსალოდნელ ანაზღაურებასთან მიმართებით. კომპანიის წაგებიან ხელშეკრულებებს არსებითი წილი არ უკავია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფულის დროითი ღირებულება

კომპანია არ ახდენს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირებას, რომ ასახოს ფულის დროითი ღირებულება და ფინანსური რისკის ეფექტი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ვინაიდან მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში.

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება

აუნაზღაურებელი მოთხოვნების საერთო ხარჯი გამოითვლება ზარალის პროგნოზირების სტანდარტული აქტუარული მეთოდების გამოყენებით.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება (გაგრძელება)

ამ მეთოდების ძირითადი დაშვება ისაა, რომ კომპანიის წარსულში დაგროვილი სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო სადაზღვევო შემთხვევების დინამიკისა და, შესაბამისად, ზარალის მთლიანი მოცულობის პროგნოზირებისთვის. ეს მეთოდები პროგნოზისთვის ახდენს გადახდილი და მომხდარი ზარალის, თითოეული მოთხოვნის საშუალო მოცულობისა (მოთხოვნების დარეგულირების ხარჯების ჩათვლით) და მოთხოვნების რაოდენობის ექსტრაპოლაციას წინა წლების ტენდენციებზე და ასევე მოსალოდნელი ზარალიანობის კოეფიციენტებზე დაყრდნობით. ისტორიული სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის გაანალიზება ხდება ზარალის დადგომის წლების მიხედვით, მაგრამ შეიძლება ასევე უფრო საფუძვლიანად გაანალიზდეს ბიზნესის მნიშვნელოვანი მიმართულებების და მოთხოვნების ტიპების მიხედვით. მსხვილი მოთხოვნები, როგორც წესი, ცალკე რეგულირდება ან ზარალის შემფასებლის მიერ დადგენილი თანხების ნომინალური ღირებულების დარეზერვებით, ან ცალკე პროგნოზირებით იმისათვის, რომ ასახოს მათი სამომავლო დინამიკა. უმეტეს შემთხვევაში მკაფიო დაშვებები არ კეთდება მოთხოვნების სამომავლო ინფლაციის განაკვეთების ან ზარალიანობის კოეფიციენტების შესახებ. ამის ნაცვლად გამოიყენება ისტორიული სადაზღვევო შემთხვევების დინამიკის მონაცემებში ნაგულისხმევი დაშვებები, რომლებსაც ეყრდნობა სამომავლო პროგნოზები. დამატებითი ხარისხობრივი განსჯა გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად შეიძლება მომავალში განმეორდეს წარსული ტენდენციები (მაგ. რომ ასახოს ერთჯერადი მოვლენები, ცვლილებები საგარეო ან საბაზრო ფაქტორებში, როგორიცაა საზოგადოების დამოკიდებულება მოთხოვნებისადმი, ეკონომიკური პირობები, მოთხოვნების ინფლაციის დონეები, სასამართლო გადაწყვეტილებები და კანონმდებლობა, ასევე შიდა ფაქტორები, როგორიცაა პორტფელის მიქსი, პოლისის მახასიათებლები და მოთხოვნების დარეგულირების პროცედურები), სავარაუდო საბოლოო მოთხოვნების დანახარჯის მისაღებად, რომელიც წარმოადგენს ალბათობით შეწონილ შესაძლო შედეგების მთელი დიაპაზონის მოსალოდნელ ღირებულებას, მათთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გათვალისწინებით.

გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის მომდევნო პერიოდზე გადატანა, რომელიც ასახავს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას, წარმოდგენილია მე–9 შენიშვნაში.

გუდვილის ანაზღაურების შესაძლებლობა

კომპანია მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას. ამისთვის საჭიროა იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების დადგენა, რომელზეც გუდვილია განაწილებული. გამოყენების ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების გაანგარიშებას და შესაფერისი დისკონტური განაკვეთის შერჩევას ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულების გამოთვლის მიზნით. გუდვილის ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,462 ლარს შეადგენდა (2023 წლის 31 დეკემბერი: 3,462 ლარი).

გუდვილის გაუფასურების ტესტირებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები წარმოდგენილია მე–13 შენიშვნაში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ნაღდი ფული	–	3
მიმდინარე ანგარიშები	6,445	4,170
მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**6,445**	**4,173**

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულოა რეზერვის ანგარიშზე მინიმალური დონის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების განთავსება სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების 10%–ის ოდენობით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სავალდებულო რეზერვის მოთხოვნის შესახებ დადგენილების შესაბამისად, რაც ანგარიშგების თარიღისთვის 2,243 ლარს შეადგენდა (2023 წ.: 1,996 ლარი).

(ათას ლარში)

6. საბანკო ანაბრები

საბანკო ანაბრები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
საბანკო ანაბრები ლარში	32,470	21,335
საბანკო ანაბრები დოლარში	–	4,710
საბანკო ანაბრები	**32,470**	**26,045**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (1–ელი სტადია)	(117)	(51)
მთლიანი წმინდა საბანკო ანაბრები	**32,353**	**25,994**

საბანკო ანაბრები წარმოდგენილია 12–24–თვიანი განთავსებებით და მათზე ირიცხება 4.3%–დან 14%–მდე წლიური პროცენტი (2023 წლის 31 დეკემბერი: 4.3%–დან 14%–მდე).

7. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გამოხატული ლარში	706	1,420
გამოხატული აშშ დოლარში	285	1,665
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	**991**	**3,085**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (1–ელი სტადია)	(7)	(13)
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, სულ	**984**	**3,072**

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები, წარმოდგენილი ქართული კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციებით.

8. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
გამოხატული აშშ დოლარში	557	1,796
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	**557**	**1,796**

ფულადი ნაკადები გარკვეული ფინანსური აქტივებიდან, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით ვერ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის“ (SPPI) ტესტს და ამიტომ კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წარმოდგენილია ქართული ბანკის მიერ გამოშვებული ევროობლიგაციებით (2023 წლის 31 დეკემბერი: აშშ–ის სახაზინო ინსტრუმენტები და ევროობლიგაციები, გამოშვებული ქართული ბანკების მიერ).

(ათას ლარში)

9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები

ქვედა ცხრილში ჩაშლილია აქტივების და ვალდებულებების პოზიციებში მყოფი, გამოშვებული დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები:

	2024			2023		
გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებები	**აქტივი**	**ვალდებუ-ლება**	**წმინდა**	**აქტივი**	**ვალდებუ-ლება**	**წმინდა**
ჯანმრთელობის დაზღვევა	8,273	(20,421)	**(12,148)**	75	(12,616)	**(12,541)**
სიცოცხლის და შრომის უუნარობის დაზღვევა	3,947	(3,389)	**558**	2,883	(2,673)	**210**
სხვა	–	(2,940)	**(2,940)**	144	(1,831)	**(1,687)**
სულ გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებები	**12,220**	**(26,750)**	**(14,530)**	**3,102**	**(17,120)**	**(14,018)**

სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებები ძირითადად შედგება უბედური შემთხვევის დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებებისგან.

	2024			2023		
გამოშვებული გადაზღვევის ხელშეკრულებები	**აქტივი**	**ვალდებუ-ლება**	**წმინდა**	**აქტივი**	**ვალდებუ-ლება**	**წმინდა**
სიცოცხლის და შრომის უუნარობის დაზღვევა	22	(142)	**(120)**	–	(165)	**(165)**
სხვა	318	(2,251)	**(1,933)**	–	(1,166)	**(1,166)**
სულ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები	**340**	**(2,393)**	**(2,053)**	**–**	**(1,331)**	**(1,331)**

სხვა გადაზღვევის ხელშეკრულებები შედგება საცხოვრებელი უძრავი ქონებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებელებებისგან

გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივების ან ვალდებულებების ნაშთის მომდევნო პერიოდზე გადატანა, რომელიც ასახავს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას და დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას, წარმოდგენილია ქვემოთ.

(ათას ლარში)

9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.1 სულ:

	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება: დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები-დან წარმო-შობილი ვალდე-ბულება, რისკის კორექტი-რების გარდა	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	16,760	360	–	**17,120**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(3,102)	–	–	–	**(3,102)**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(3,102)**	**16,760**	**360**	–	**14,018**
სადაზღვევო ამონაგები (1%–იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	**(109,734)**	–	–	–	**(109,734)**
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	**–**	**84,430**	**111**	**4,083**	**88,624**
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	–	84,430	111	4,083	**88,624**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	**(109,734)**	**84,430**	**111**	**4,083**	**(21,110)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივების გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა	**327**	–	–	–	**327**
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	**(109,407)**	**84,430**	**111**	**4,083**	**(20,783)**
ფულადი ნაკადები					
მიღებული პრემიები	103,038	–	–	–	**103,038**
მოთხოვნების დარეგულირება	–	(78,873)	–	–	**(78,873)**
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	–	–	–	(2,483)	**(2,483)**
სულ ფულადი ნაკადები	**103,038**	**(78,873)**	–	**(2,483)**	**21,682**
სხვა ცვლილების დინამიკა/ურთიერთგადაფარვა	(2,749)	3,962	–	(1,600)	**(387)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(12,220)**	**26,279**	**471**	**–**	**14,530**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	26,279	471	–	**26,750**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(12,220)	–	–	–	**(12,220)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(12,220)**	**26,279**	**471**	**–**	**14,530**

(ათას ლარში)

9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.1 სულ: (გაგრძელება)

	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება: დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება, რისკის კორექტირების გარდა	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	16,261	285	–	**16,546**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,418)	–	–	–	**(1,418)**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(1,418)**	**16,261**	**285**	**–**	**15,128**
სადაზღვევო ამონაგები (1%–იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	**(93,173)**	**–**	**–**	**–**	**(93,173)**
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	**–**	**71,529**	**75**	**3,814**	**75,418**
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	–	71,529	75	3,814	**75,418**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	**(93,173)**	**71,529**	**75**	**3,814**	**(17,755)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივების გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა	**265**	**–**	**–**	–	**265**
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	**(92,908)**	**71,529**	**75**	**3,814**	**(17,490)**
ფულადი ნაკადები					
მიღებული პრემიები	87,697	–	–	–	**87,697**
მოთხოვნების დარეგულირება	–	(69,035)	–	–	**(69,035)**
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	–	–	–	(2,283)	**(2,283)**
სულ ფულადი ნაკადები	**87,697**	**(69,035)**	**–**	**(2,283)**	**16,379**
სხვა ცვლილების დინამიკა/ურთიერთგადაფარვა	3,527	(1,995)	–	(1,531)	**1**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(3,102)**	**16,760**	**360**	**–**	**14,018**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	16,760	360	–	**17,120**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3,102)	–	–	–	**(3,102)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(3,102)**	**16,760**	**360**	**–**	**14,018**

(ათას ლარში)

9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.2 ჯანმრთელობის დაზღვევა:

	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება: დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება, რისკის კორექტირების გარდა	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	12,329	287	–	**12,616**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(75)	–	–	–	**(75)**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(75)**	**12,329**	**287**	–	**12,541**
სადაზღვევო ამონაგები (1%–იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	(94,422)	–	–	–	**(94,422)**
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	**–**	**81,698**	**113**	**2,366**	**84,177**
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	–	81,698	113	2,366	**84,177**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	**(94,422)**	**81,698**	**113**	**2,366**	**(10,245)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივების გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა	**250**	–	–	–	**250**
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	**(94,172)**	**81,698**	**113**	**2,366**	**(9,995)**
ფულადი ნაკადები					
მიღებული პრემიები	89,651	–	–	–	**89,651**
მოთხოვნების დარეგულირება	–	(76,341)	–	–	**(76,341)**
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	–	–	–	(2,284)	**(2,284)**
სულ ფულადი ნაკადები	**89,651**	**(76,341)**	**–**	**(2,284)**	**11,026**
სხვა ცვლილების დინამიკა/ურთიერთგადაფარვა	(3,677)	2,335	–	(82)	**(1,424)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(8,273)**	**20,021**	**400**	**–**	**12,148**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	20,021	400	–	**20,421**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(8,273)	–	–	–	**(8,273)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(8,273)**	**20,021**	**400**	–	**12,148**

(ათას ლარში)

9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.2 ჯანმრთელობის დაზღვევა: (გაგრძელება)

	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება: დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება, რისკის კორექტირების გარდა	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	13,593	234	–	**13,827**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(39)	–	–	–	**(39)**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(39)**	**13,593**	**234**	**–**	**13,788**
სადაზღვევო ამონაგები (1%–იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	**(79,176)**	**–**	**–**	**–**	**(79,176)**
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	**–**	**67,181**	**53**	**2,233**	**69,467**
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	–	67,181	53	2,233	**69,467**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	**(79,176)**	**67,181**	**53**	**2,233**	**(9,709)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივების გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა	**380**	**–**	**–**	**–**	**380**
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	**(78,796)**	**67,181**	**53**	**2,233**	**(9,329)**
ფულადი ნაკადები					
მიღებული პრემიები	77,499	–	–	–	**77,499**
მოთხოვნების დარეგულირება	–	(67,205)	–	–	**(67,205)**
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	–	–	–	(1,897)	**(1,897)**
სულ ფულადი ნაკადები	**77,499**	**(67,205)**	**–**	**(1,897)**	**8,397**
სხვა ცვლილების დინამიკა/ურთიერთგადაფარვა	1,261	(1,240)	–	(336)	**(315)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(75)**	**12,329**	**287**	**–**	**12,541**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	12,329	287	–	**12,616**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(75)	–	–	–	**(75)**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(75)**	**12,329**	**287**	**–**	**12,541**

(ათას ლარში)

9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.3 სიცოცხლის და შრომის უუნარობის დაზღვევა

	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებუ-ლება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება: დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები-დან წარმო-შობილი ვალდებულე ბა, რისკის კორექტი-რების გარდა	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	2,629	44	–	**2,673**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(2,883)	–	–	–	**(2,883)**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(2,883)**	**2,629**	**44**	–	**(210)**
სადაზღვევო ამონაგები (1%–იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	(6,197)	**–**	**–**	**–**	**(6,197)**
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	**–**	**2,288**	**23**	**–**	**2,311**
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	–	2,288	23	–	**2,311**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	**(6,197)**	**2,288**	**23**	–	**(3,886)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივების გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა	**3**	–	–	–	**3**
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	**(6,194)**	**2,288**	**23**	–	**(3,883)**
ფულადი ნაკადები					
მიღებული პრემიები	4,901	–	–	–	**4,901**
მოთხოვნების დარეგულირება	–	(1,639)	–	–	**(1,639)**
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	–	-	–	–	**-**
სულ ფულადი ნაკადები	**4,901**	**(1,639)**	**–**	**–**	**3,262**
სხვა ცვლილების დინამიკა/ურთიერთგადაფარვა	229	44	–	–	**273**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(3,947)**	**3,322**	**67**	–	**(558)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	3,322	67	–	**3,389**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3,947)	–	–	–	**(3,947)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(3,947)**	**3,322**	**67**	**–**	**(558)**

(ათას ლარში)

9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.3 სიცოცხლის და შრომის უუნარობის დაზღვევა (გაგრძელება)

	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება: დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება, რისკის კორექტირების გარდა	რისკის კორექტირება	დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული აქტივი	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	470	6	–	**476**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,014)	–	–	–	**(1,014)**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა (აქტივები)/ვალდებულებები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(1,014)**	**470**	**6**	**–**	**(538)**
სადაზღვევო ამონაგები (1%–იანი საზედამხედველო საკომისიოს გამოკლებით)	**(6,690)**	**–**	**–**	**–**	**(6,690)**
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	**–**	**3,138**	**38**	**–**	**3,176**
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა ხარჯები	–	3,138	38	–	**3,176**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	**(6,690)**	**3,138**	**38**	**–**	**(3,514)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივების გაუფასურების ხარჯი/ჩამოწერა	**(4)**	**–**	**–**	**–**	**(4)**
სულ ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	**(6,694)**	**3,138**	**38**	**–**	**(3,518)**
ფულადი ნაკადები					
მიღებული პრემიები	3,938	–	–	–	**3,938**
მოთხოვნების დარეგულირება	–	(942)	–	–	**(942)**
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები	–	–	–	–	**–**
სულ ფულადი ნაკადები	**3,938**	**(942)**	**–**	**–**	**2,996**
სხვა ცვლილების დინამიკა/ურთიერთგადაფარვა	887	(37)			**850**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,883)**	**2,629**	**44**	**–**	**(210)**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	2,629	44	–	**2,673**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,883)	–	–	–	**(2,883)**
სადაზღვევო ხელშეკრულებების წმინდა აქტივები/ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,883)**	**2,629**	**44**	**–**	**(210)**

(ათას ლარში)

9. დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

9.4 სხვა:

სიცოცხლის და შრომის უუნარობის დაზღვევა	3,389	2,673
სხვა	2,940	1,831
	26,750	**17,120**

ფინანსური რისკი

(1) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოდგენილია შესაბამისი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებით 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

26. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

იმ ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, სათანადოა და ხდება მათი მუდმივი მონიტორინგი საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობის შესახებ. არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ეყრდნობა A.M. Best, Moody's, S&P Global და Fitch–ს მიერ მინიჭებულ გარე რეიტინგებს.

	შენიშვნა	სტადია	AAA	BB	BB–	B+	B	რეიტინგის გარეშე	სულ
საბანკო ანაბრები	6	1–ელი სტადია	–	12,953	1,395	6,203	10,732	1,070	**32,353**
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	7	1–ელი სტადია	–	202	–	–	–	782	**984**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	8	მითითებული არ არის	–	557	–	–	–	–	**557**
სულ			–	**13,712**	**1,395**	**6,203**	**10,732**	**1,852**	**33,894**

31 დეკემბერი, 2023 წ.	შენიშვნა	სტადია	AAA	BB	BB–	B+	B	რეიტინგის გარეშე	სულ
საბანკო ანაბრები	6	1–ელი სტადია	–	5,627	1,327	9,755	–	9,285	**25,994**
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	7	1–ელი სტადია	–	202	2,097	–	–	773	**3,072**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	8	მითითებული არ არის	1,301	495	–	–	–	–	**1,796**
სულ			**1,301**	**6,324**	**3,424**	**9,755**	**–**	**10,058**	**30,862**

(2) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი თავისი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდურობის საჭიროების ყოველდღიურ მონიტორინგს.

კომპანია მართავს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას მათი უკეთესად დაბალანსებისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდურობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. კომპანიის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკები არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება მომწოდებლებთან გაფორმებული კონტრაქტების, სადაზღვევო ხელშეკრულებების საფუძველზე წამოყენებული მოთხოვნებისა და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის მოსვლის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია შესაბამისი ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების თარიღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

(ათას ლარში)

26. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2024 წ.	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,445	–	**6,445**
საბანკო ანაბრები	20,074	12,279	**32,353**
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	782	202	**984**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	12,220	–	**12,220**
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	340	–	**340**
სხვა აქტივები	123	–	**123**
მთლიანი აქტივები	**39,984**	**12,481**	**52,465**
ვალდებულებები			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	26,750	–	**26,750**
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	2,393	–	**2,393**
სხვა ვალდებულებები	3,465	5,217	**8,682**
მთლიანი ვალდებულებები	**32,608**	**5,217**	**37,825**
ნეტო პოზიცია	**7,376**	**7,264**	**14,640**
აკუმულირებული გეპი	**7,376**	**14,640**	

31 დეკემბერი, 2023 წ.	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,173	–	**4,173**
საბანკო ანაბრები	25,994	–	**25,994**
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	1,267	1,805	**3,072**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	3,102	–	**3,102**
სხვა აქტივები	3,083	–	**3,083**
მთლიანი აქტივები	**37,619**	**1,805**	**39,424**
ვალდებულებები			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	17,120	–	**17,120**
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	1,331	–	**1,331**
ნასესხები სახსრები	3,206	–	**3,206**
სხვა ვალდებულებები	3,269	4,885	**8,154**
მთლიანი ვალდებულებები	**24,926**	**4,885**	**29,811**
ნეტო პოზიცია	**12,693**	**(3,080)**	**9,613**
აკუმულირებული გეპი	**12,693**	**9,613**	

(ათას ლარში)

26. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების ოდენობები და ვადები განისაზღვრება ხელმძღვანელობის განსჯის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა სტატისტიკურ მეთოდებსა და წარსულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ლიკვიდურობის არსებული დონე საკმარისია ყველა მისი მომდინარე ვალდებულების შესასრულებლად და დავალიანების დროულად დასაფარად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

31 დეკემბერი, 2024 წ.	3 თვეზე ნაკლები	3–დან 12 თვემდე	1–დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საიჯარო ვალდებულებები	171	491	3,047	2,170	5,879
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**171**	**491**	**3,047**	**2,170**	**5,879**

31 დეკემბერი, 2023 წ.	3 თვეზე ნაკლები	3–დან 12 თვემდე	1–დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	360	2,936	–	–	3,296
საიჯარო ვალდებულებები	334	751	3,376	1,824	6,285
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**694**	**3,687**	**3,376**	**1,824**	**9,581**

(3) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსის მერყეობის შედეგად.

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად, რასაც იწვევს სავალუტო კურსის (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების (საფასო რისკი) მერყეობა, იმის მიუხედავად ფასებში ასეთი ცვლილებები გამოწვეულია ცალკეული ინსტრუმენტისთვის ან მისი ემიტენტისთვის დამახასიათებელი ფაქტორებით თუ ბაზარზე მიმოქცევაში არსებულ ყველა ინსტრუმენტზე მოქმედი ფაქტორებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე.

31 დეკემბრის მდგომარეობით, ეფექტური საშუალო საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთის წარმომქმნელი/მქონე ფულადი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.	
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი	აშშ დოლარი
საბანკო ანაბრები	12.40%	4.77%	13.08%	4.79%
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	12.30%	8.50%	13.72%	8.50%
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	–	6.35%	–	6.44%
ნასესხები სახსრები	–	–	11.52%	6.00%

(ათას ლარში)

26. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მიბმულია რეფინანსირების განაკვეთებზე და თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე და, შესაბამისად, აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი. ასეთი რისკი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებითი არ იყო.

სავალუტო რისკი

31 დეკემბერი, 2024 წ.	**ლარი**	**აშშ დოლარი**	**ევრო**	**სულ**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,246	90	109	**6,445**
საბანკო ანაბრები	32,353	–	–	**32,353**
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	700	284	–	**984**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	–	557	–	**557**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	12,034	156	30	**12,220**
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	205	135	–	**340**
მთლიანი აქტივები	**51,538**	**1,222**	**139**	**52,899**
ვალდებულებები				
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	26,395	342	13	**26,750**
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	2,393	–	–	**2,393**
სხვა ვალდებულებები	2,809	5,873	–	**8,682**
მთლიანი ვალდებულებები	**31,597**	**6,215**	**13**	**37,825**
წარმოებული ინსტრუმენტები	**–**	**–**	**–**	**–**
ნეტო პოზიცია	**19,941**	**(4,993)**	**126**	**15,074**
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		15%	15%	
გავლენა მოგებაზე		(749)	19	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		-15%	-15%	
გავლენა მოგებაზე		**749**	**(19)**	

(ათას ლარში)

26. რისკისა და კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2023 წ.	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,090	59	24	**4,173**
საბანკო ანაბრები	21,283	4,711	–	**25,994**
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	1,416	1,656	–	**3,072**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	–	1,796	–	**1,796**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	2,978	124	–	**3,102**
მთლიანი აქტივები	**29,767**	**8,346**	**24**	**38,137**
ვალდებულებები				
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	16,913	188	19	**17,120**
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	1,331	–	–	**1,331**
ნასესხები სახსრები	362	2,844	–	**3,206**
სხვა ვალდებულებები	2,244	5,910	–	**8,154**
მთლიანი ვალდებულებები	**20,850**	**8,942**	**19**	**29,811**
წარმოებული ინსტრუმენტები	4,457	**(2,923)**	–	**1,534**
ნეტო პოზიცია	**13,374**	**(3,519)**	**5**	**9,860**
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		15%	15%	
გავლენა მოგებაზე		(528)	1	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		–15%	–15%	
გავლენა მოგებაზე		528	(1)	

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს ფორვარდული ხელშეკრულებები.
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ გააფორმა აშშ დოლარში სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან 1,000 ათასი აშშ დოლარის მთლიანი პირობითი თანხით. ფორვარდული ხელშეკრულება აისახება მოგებაზე სავალუტო კურსის მერყეობის ეფექტის ზემოაღნიშნულ გამოთვლაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

27. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. კომპანია შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და;
- დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან ემპირიულ საბაზრო მონაცემებს.

(ათას ლარში)

27. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

ქვედა ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით.

	დონე 1	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ 2024 წ.*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	–	984	–	**984**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	557	–	–	**557**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,445	–	–	**6,445**
საბანკო ანაბრები	–	32,353	–	**32,353**

	დონე 1	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ 2023 წ.*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	–	3,074	–	**3,074**
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით	1,796	–	–	**1,796**
წარმოებული ინსტრუმენტები	–	1,534	–	**1,534**
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,173	–	–	**4,173**
საბანკო ანაბრები	–	25,994	–	**25,994**
საინვესტიციო ქონება	–	9,313	–	**9,313**
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ნასესხები სახსრები	–	3,206	–	**3,206**

ქვემოთ აღწერილია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა. კომპანიამ გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, მისი აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება შეფასების მეთოდით ან ფასწარმოქმნის მოდელებით, შედგება არაკოტირებული სავალო ფასიანი ქაღალდებისგან. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები შეფასებულია ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ეყრდნობა საბაზრო ემპირიულ მონაცემებს – ინსტრუმენტის ვადიანობის შესაბამისი საბაზრო განაკვეთები, ვალუტა და ემიტენტის საკრედიტო რისკი.

(ათას ლარში)

27. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულია გარკვეული ამოსავალი მონაცემებით, რომლებიც არ ეყრდნობა ემპირიულ საბაზრო მონაცემებს. აქტივების ღირებულება ფასდება საბაზრო ან დანახარჯების მეთოდით. საბაზრო მეთოდი იყენებს მსგავს ან შედარებად მიწასა და შენობა–ნაგებობებზე საბაზრო გარიგებების ფასებს ან სხვა აქტუალურ ინფორმაციას, შესაბამისად. დანახარჯების მეთოდით მიიღება თანხა, რომელიც საჭირო იქნებოდა აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის დღეისათვის ჩასანაცვლებლად.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება აქტივებად, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ინვესტიციის შედეგში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

28. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24–ის „*დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები*“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(ათას ლარში)

28. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი პერიოდის განმავლობაში ასეთია:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	–	4,607
მთლიანი აქტივები	–	**4,607**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	–	8,108
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	–	2,393
მთლიანი ვალდებულებები	–	**10,501**
შემოსავალი და ხარჯები		
სადაზღვევო ამონაგები	–	4,615
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	–	(18,860)
გადაზღვევის პრემიების განაწილება	–	937
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის გადამზღვეველებისგან ანაზღაურებადი თანხები	–	(42)
საპროცენტო შემოსავალი	104	25
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ხარჯი	–	(61)
სულ შემოსავალი და ხარჯები	**104**	**(13,386)**

	31 დეკემბერი, 2023 წ.	
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები	1,386	407
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	147	27
სხვა აქტივები	–	1,534
მთლიანი აქტივები	**1,533**	**1,968**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	–	9,581
სხვა ვალდებულებები	22	109
მთლიანი ვალდებულებები	**22**	**9,690**
შემოსავალი და ხარჯები		
სადაზღვევო ამონაგები	8	1,685
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	–	(18,368)
გადაზღვევის პრემიების განაწილება	–	1,051
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის გადამზღვეველებისგან ანაზღაურებადი თანხები	–	(216)
საპროცენტო შემოსავალი	95	496
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ხარჯი	–	(892)
სულ შემოსავალი და ხარჯები	**103**	**(16,244)**

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები შეძენილი იქნა მესამე მხარეებისგან საბაზრო პირობებით. სადაზღვევო ხელშეკრულებები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წესი, ერთი წლით ფორმდება. მოთხოვნების დარეგულირება, ჩვეულებრივ, 90 დღის განმავლობაში ხდება.

(ათას ლარში)

28. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2024	2023
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	2,110	748
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	742	260
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	**2,852**	**1,008**

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

1,000 ლარის დივიდენდები გამოცხადდა და 2025 წელს სრულად იქნა გადახდილი. დივიდენდები ერთ აქციაზე გაუტოლდა 0.15 ლარს (არ არის წარმოდგენილი ათას ლარში).

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“

2024 წლის მმართველობითი ანგარიშგება

Building a better working world

შპს იუაი
საქართველო, 0105, თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC
44 Kote Abkhazi street
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“" აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 15 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

24 სექტემბერი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა 3
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება 12
3. არაფინანსური ანგარიშგება 12

1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

იმედიL საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და სანდო სადაზღვევო კომპანიაა, რომელიც უკვე სამი ათწლეულია იცავს ადამიანების ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და ორგანიზაციებს. დაარსების დღიდან კომპანიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა სადაზღვევო ინდუსტრიის ჩამოყალიბებაში. დანერგა ინოვაციური პროდუქტები, შექმნა ხანგრძლივი ურთიერთობები კლიენტებთან და გამოავლინა მდგრადობა, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების პირობებში.

კომპანიას აქვს მრავალწლიანი ექსპერტიზა ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებით, რასაც ადასტურებს 1,200-ზე მეტ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა. 210,000-ზე მეტი დაზღვეული პირი სარგებლობს კომპანიის დაზღვევით, რომელსაც მხარს უჭერს ოჯახის ექიმებისა და სამედიცინო პროვაიდერების ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საიმედო ქსელი საქართველოში.

ჯანმრთელობის დაზღვევის სექტორში, „იმედი L“ სიდიდით მეორე კომპანიას წარმოადგენს და იკავებს 18.7%-იან საბაზრო წილს. მხოლოდ 2024 წელს კომპანიამ ანაზღაურა 72 მილიონ ლარზე მეტი ზარალი, რაც ხაზს უსვამს მის ფინანსურ სტაბილურობას, სანდოობას და აღებული ვალდებულებების შესრულების ერთგულებას.

იმედიL ის დაარსების დღიდან შემდეგი გზა განვლო:

- 1990 წელს პირველი სადაზღვევო კომპანია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, ხოლო
- 1998 წელს სს “ბისიაი” დაარსდა.
- 2004 წელს „ბისიაი“ -ს აქციათა 100% შესყიდულ იქნა სს „საქართველოს ბანკის“ მიერ.
- 2005 წელს ორივე კომპანიამ მნიშვნელოვანი შესყიდვა განახორციელა: „ალდაგმა“ შემოიერთა სადაზღვევო კომპანია „სელბი“, ხოლო „ბისიაი“-მ სადაზღვევო კომპანია „ევროპეისი“.
- 2006 წლის ბოლოს "ალდაგი"-ს აქციების 100% სადაზღვევო კომპანია "ბისიაი"-მ შეიძინა. მათი გაერთიანების შედეგად, წარმოიქმნა უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია, რომელიც წლების განმავლობაში უპირობო ლიდერ პოზიციას ინარჩუნებდა ქართულ სადაზღვევო ბაზარზე.
- 2011 წელს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“ შეისყიდა სადაზღვევო კომპანია შპს „პარტნიორის“ სადაზღვევო პორტფელი.
- 2012 შეისყიდა სადაზღვევო კომპანია სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია იმედი ელ ინტერნეიშენალ“.
- 2014 წელს განხორციელდა სს სადაზღვევო კომპანი ალდაგის რეორგანიზაცია, კერძოდ, გაყოფა (გამოყოფის გზით), რის შედეგადაც, არსებული სადაზღვევო კომპანიიდან მოხდა ორი საწარმოს გამოყოფა და აღნიშნულის საფუძველზე ფუნქციონირებს სამი კომპანია, კერძოდ:
    1. არსებული სადაზღვევო კომპანია, შეცვლილი სახელწოდებით: სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“, რომლის საქმიანობაც არის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ასევე, სამოგზაურო დაზღვევა(რომელმაც შეინარჩუნა გაყოფამდე არსებული საწარმოს საიდენტიფიკაციო კოდი, კერძოდ: 204919008);

2. გამოყოფის შედეგად წარმოშობილი სადაზღვევო კომპანია, სახელწოდებით: სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, რომლის ძირითადი საქმიანობა არის ყველა სახის დაზღვევა (მათ შორის, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა), გარდა ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევისა, ასევე საბანკო გარანტიებით მომსახურება და რომლის საიდენტიფიკაციო კოდია: 404476189;

3. გამოყოფის შედეგად წარმოქმნილი კომპანია, სახელწოდებით: სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“, რომლის საქმიანობა არის ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობა და რომელსაც გადაეცა ყველა ის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც გაყოფამდე არსებული საწარმოს პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში გახლდათ

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, მენეჯმენტი არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ზოგადი ინფორმაცია

- თანამშრომლები - 603 თანამშრომელი
- ცენტრალური ოფისი თბილისში - 1
- წარმომადგენლობა -6
- გაყიდვების ცენტრები - 2
- მომსახურების ცენტრი- 1

ოფისები

თბილისი
ცენტრალური ოფისი
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 53ა

სერვის კლუბი მომსახურების ცენტრი
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 53ა

ბათუმი
წარმომადგენლობა
შოთა რუსთაველის #7

ქუთაისი
მომსახურების ცენტრი
ა.პუშკინის ქ. #8

ფოთი
წარმომადგენლობა
გამსახურდიას ქუჩა #6

რუსთავი
წარმომადგენლობა
ავ. მესხიშვილის ქ. #1 მე-2 სამკურნალო

თელავი
წარმომადგენლობა
გია არსენიშვილის ქ. #15 (ევექსის კლინიკები)

ზუგდიდი
წარმომადგენლობა
კოსტავას #1

გორი
წარმომადგენლობა
ცხინვალის გზატკეცილი #14

ახალციხე
წარმომადგენლობა
რუსთაველის ქ. #105ა

ძირითადი მაჩვენებლები

სადაზღვევო ამონაგები	გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	წმინდა მოგება
115,753 +23.94% y-o-y	19,276 +18.30% y-o-y	8,599 +21.35% y-o-y

ზარალიანობის კოეფიციენტი	ხარჯების კოეფიციენტი	კომბინირებული კოეიფიცენტი
82.13% -0.03% y-o-y	12.35% +0.24% y-o-y	94.48% +0.21% y-o-y

უკუგება საშუალო აქტივებზე	უკუგება საშუალო კაპიტალზე	გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი
12.56% +1.85% y-o-y	25.10% +5.64% y-o-y	165.13% +16.77% y-o-y

ანაზღაურებული ზარალები	NPS
74,409 +17.91% y-o-y	31% +4% y-o-y

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

მოგება ზარალის ანგარიშგების ძირითადი მუხლები:

ათას ლარებში	**2024**	**2023**	**ცვლილება %**
სადაზღვევო ამონაგები	108,795	92,401	17.7%
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(88,624)	(75,418)	17.5%
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი, ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებამდე	**20,171**	**16,983**	**18.8%**
გადაზღვევის ხელშეკრულების შედეგი	**(895)**	**(689)**	**29.9%**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი	**19,276**	**16,294**	18.3%
მთლიანი საინვესტიციო შემოსავალი	3,871	4,447	-13.0%
საოპერაციო ხარჯები	(14,548)	(11,938)	21.9%
დასაბეგრი მოგება	8,599	8,803	-2.3%
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	**8,599**	**7,086**	21.4%
	-	**-**	
ზარალიანობის კოეფიციენტი*	82.13%	82.16%	0.0%
ხარჯების კოეფიციენტი	12.35%	12.11%	0.24%
კომბინირებული კოეიფიცენტი	**94.48%**	**94.27%**	**0.21%**

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახული ძირითადი მუხლები:

ათას ლარებში	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**	**ცვლილება, %**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	12,220	3,102	293.94%
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული აქტივები	340	-	0.00%
სულ სავალო ინსტრუმენტები	**1,541**	**4,868**	**-68.34%**
ძირითადი საშუალებები	8,770	11,727	-25.22%
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	5,998	5,794	3.52%
სხვა აქტივები	39,954	42,563	-6.13%
სულ აქტივები	**68,823**	**68,054**	**1.13%**
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	26,750	17,120	56.25%
გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	2,393	1,331	79.79%
ნასესხები სახსრები	-	3,206	-100.00%
სხვა ვალდებულებები	8,682	8,869	-2.11%
სულ ვალდებულებები	**37,825**	**30,526**	**23.91%**
სულ კაპიტალი	**30,998**	**37,528**	**-17.40%**

სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა

სულ სტატისტიკური მოზიდული პრემია გროსი ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში შეადგენდა 534 მილონ ლარს.

ჯანმრთელობის ბაზრის წილი კომპანიების მიხედვით:



ჯანმრთელობის ბაზრის წილი პერიოდის ბოლოს აქტიური პოლისების მიხედვით



ჯანმრთელობის ბაზრის მიმოხილვა გამომუშავებული პრემია გროსის და ანაზღაურებული ზარალების მიხედვით:



მთლიანი სადაზღვევო ბაზრის წილის მიმოხილვა მოზიდული პრემია გროსის მიხედვით:

სულ სტატისტიკური მოზიდული პრემია შეადგენდა 1,259 მილიონ ლარს.



ჯანმრთელობის ბაზრის შეღწევადობა წლების მიხედვით:



ბიზნესის სტუქტურა

კომპანიის მომსახურების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია თითოეული მომხმარებლისადმი ინდივიდუალური მიდგომა, მათი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ მაღალი ხარისხის, მომხმარებელზე მორგებული პროდუქტები, რაც უფრო კონკურენტულს ხდის კომპანიის საქმიანობას.

სადაზღვევო კომპანია იმედი ელი ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტებს სთავაზობს კორპორატიულ და საცალო კლიენტებს.

სწორედ ჯანმრთელობის მაღალხარისხიანი სერვისების შეთავაზების მიზნით შევქმენით პროდუქტების რამდენიმე ხაზი, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს დაზღვეულს გამარტივებული პროცედურების გავლით მიიღოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების ფართო სერვისები.

საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის წმინდა მოგება შეადგენდა 8,599 ათას ლარს, რაც წინა წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 21.4% ით.

გასულ წელს თუ შევაჯამებთ , ჩვენი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები იყო :

- პორტფელის დივერსიფიკაცია
- სერვისების გაციფრულება
- ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერება
- მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ეს საკითხი განხილულია ამავე ანგარიშის მესამე პარაგრაფში (არაფინანსური ანგარიშგება).

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

მმართველობითი ორგანო

კომპანიის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია ჯგუფის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს ჯგუფის საქმიანობის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას.

კომპანიის აღმასრულებელი მენეჯმენტი მონიტორინგს უწევს და აკონტროლებს რისკებს რეგულარულად ამოცანების შეფასებით, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების შექმნით და რისკის კონტროლის როგორც პოლიტიკის, ასევე სახელმძღვანელოების შექმნით და მათი განხორციელების პროცესის კონტროლითა და შესაბამისი დეპარტამენტების შესრულებით.

აღმასრულებელი საბჭო იკრიბება რეგულარულად, რათა დაამტკიცოს თითოეული რეკლამა, რეგულაცია და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნილებები მსგავსი პოლიტიკით. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, სტრუქტურის ლიმიტირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი ხარისხის და აქტივების დივერსიფიკაცია, კორპორაციული მიზნების მიღწევის სტრატეგიის ჩამოყალიბებას და დააზუსტოს ანგარიშების მოთხოვნები.

3. არაფინანსური ანგარიშგება

ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე.

ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგილია კომპანიაში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს.

დასაქმების საკითხები

ადამიანური კაპიტალი

კომპანია იაზრებს რომ ორგანიზაციის წარმატებაში ძირითადი და მნიშვნელოვანი სწორედ ადამიანური კაპიტალია, შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვა კორპორაციული წარმატების, კონკურენტუნარიანი პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზების წინაპირობას ქმნის.

ორგანიზაციის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული მაღალკვალიფიციური თანამშრომლების მართვასთან, შესაბამისად კომპანია მუდმივად ცდილობს განავითაროს ადამიანური რესურსების პოლიტიკა, პერსონალის შერჩევის, კომპენსაციისა და ბენეფიტების, პერსონალის განვითარების, ქცევის კოდექსის და ადამიანური უფლებების დაცვის მიმართულებით.

თანამშრომლების სამუშაო რეჟიმები, უფლება-მოვალეობები და შრომის პირობები დეტალურად განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებითა და სამუშაო აღწერილობით.

ტალანტების მოზიდვა

პერსონალის მოზიდვისა და მისი შენარჩუნების სტრატეგია გამომდინარეობს კომპანიის სპეციფიკიდან. კომპანია ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე კვალიფიცირებული კადრების მოზიდვასა და შენარჩუნებაზე. ორგანიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გუნდის ახალი წევრის შერჩევასა და შესაბამისი კომპეტენციისა და უნარების მქონე თანამშრომლებით გუნდის შექმნას.

ჩვენი სტრატეგიული ამოცანების განხორციელებისა და სამუშაო პროცესების ეფექტიანად მართვის მიზნით, კომპანიაში განისაზღვრება ადამიანური რესურსის საჭირო რაოდენობა, ცოდნისა და კომპეტენციების მახასიათებლები, რომლის საფუძველზე იგეგმება ადამიანური რესურსი.

პერსონალის მოზიდვის ფორმებია შიდა და გარე წყაროებიდან მოზიდვა.

კანდიდატების შერჩევის პროცესს წარმართავს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, შერჩევის პროცესში ჩართულია მიმართულების ხელმძღვანელი, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და დარგის პროფესიონალი (საჭიროების შემთხვევაში). შერჩევის ასეთი პროცესი მაქსიმალურად უზრუნველყოფს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

კომპანია ახორციელებს კანდიდატურების შერჩევას საქართველოს კანონმდებლობისა და ორგანიზაციაში მოქმედი შიდა ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, ახალი თანამშრომელი ინიშნება საგამოცდო ვადით. უშუალო ხელმძღვანელის მხარდაჭერით გადის ადაპტაციის პერიოდს, ეცნობა ორგანიზაციის კულტურასა და სამუშაო პროცესს.

ტრენინგი და განვითარება

ადამიანური რესურსის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავება კომპანიის მიზნებისა და სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

კომპანია მუდმივად ცდილობს საუკეთესო თანმშრომლებს შეუქმნას განვითარებისა და კარიერული დაწინაურების შესაძლებლობები. შესაბამისად, დამატებითი ადამიანური რესურსის საჭიროებისას, ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებს არსებულ თანამშრომლებს, განიხილავს შიდა კანდიდატებს ახალ როლზე და წაახალისებს როტაციას თუ დაწინაურებას ორგანიზაციაში.

ჩვენ შესაძლებლობას ვაძლევთ ნებისმიერ თანამშრომელს, წარადგინოს საკუთარი კანდიდატურა ამა თუ იმ თანამდებობაზე და ის განხილული იყოს როგორც კანდიდატი, ობიექტურობისა და შესაბამისი პროცედურის დაცვით.

საშუალო და უმაღლესი რგოლის მენეჯერებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაერთონ ლიდერობის პროგრამებში, რომლის მიზანიცაა მათი მენეჯერული და ლიდერული უნარების განვითარება.

ასევე, ახალი თანამშრომლებისთვის მარტივი ინტეგრაციის ხელშეწყობისა და შიდა კორპორატიული სისტემებისა და პროცედურების გაცნობის მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს ეფექტურ ტრენინგ პროგრამას. ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდებათ ინფორმაცია კომპანიის მისიისა და მიზნების და საქმიანობის შესახებ.

გენდერული ბალანსი

ჩვენ თანამშრომლებს ვეპყრობით თანასწორად და სამართლიანად, პატივსცემთ და ვაფასებთ მათ განურჩევლად სქესისა, ასაკისა, ეთნიკური კუთვნილებისა, რასისა, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებისა, სექსუალური ორიენტაციის ან შეზღუდული შესაძლებლობებისა.

ჩვენი სამუშაო ძალა შედგება როგორც დიდი გამოცდილების მქონე თანამშრომლებისგან, ასევე ახალი იდეებით განმსჭვალული ახალგაზრდებისგან.

თანამშრომელთა გენდერული გადანაწილება კომპანიაში :



თანამშრომელთა გენდერული გადანაწილება კომპანიაში უმაღლესი მენეჯმენტის მიხედვით:



საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის გენდერული გადანაწილება კომპანიაში:



თანამშომელთა ასაკობრივი გადანაწილება:



თანამშომელთა ასაკობრივი გადანაწილება ოჯახის ექიმების გარეშე:



გარემოს დაცვა

კომპანია იაზრებს პასუხისმგებლობას მომხმარებლების, საზოგადოების, თანამშრომლების და გარემოს წინაშე. ჩვენი მიზანია ვუზრუნველვყოთ მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დივერსიფიცირებული სამუშაო ძალა, თანასწორობა, მომხმარებელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება, ასევე მომხმარებელთა უკუკავშირის სისტემის განვითარება.

კომპანია ახლო მომავალში მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგიის შექმნას, რომელიც დაეხმარება კომპანიას მდგრადობის მიმათულებით მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმაში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბისზნესსა და მის რეპუტაციაზე.

ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვოთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება.

ბიზნესმოდელის მიმოხილვა

ჩვენი ბიზნეს მოდელი გულისხმობს მომხმარებლისათვის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების შეთავაზებას და ამ პოლისების შესაბამისი ანაზღაურების გაცემას, დაფარვების უზრუნველყოფას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

მომხმარებელს შეუძლია ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტების გამოყენებით სხვადასხვა სახის სამედიცინო სერვისების მიღება, როგორიცაა ჰოსპიტალური სერვისები, ამბულატორიული სერვისები და სტომატოლოგიური სერვისები.

სამედიცინო მომსახურების მისაღებად მომხმარებელი მიმართავს კომპანიის პროვაიდერ კლინიკას და სადაზღვევო პოლისის შესაბამის თანაგადახდის თანხას იხდის მხოლოდ, ან მიმართავს არაპროვაიდერ კლინიკას, სრულად იხდის მომსახურების თანხას და შემდგომ ანაზღაურების მიღების მიზნით მომართავს კომპანიას.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის მიმოხილვა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია რეპორტინგის, ბიუჯეტირებისა და ანალიზის განყოფილება. კერძოდ ,რეპორტინგის განგოფილების მიერ ხდება კომპანიის ყოველთვიური ბუღალტრული ინფორმაციის დამუშავება , IFRS სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და საბოლოოდ ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხდება ყველა მატერიალური ტრანზაქციის განხილვა, დეტალური ინფორმაციის მოძიება და შეცდდომების რისკის შემცირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემდეგ კომაპნიის შედეგების მიმოხილვა ხდება კომპანიის ფინანსურ და გენერალურ დირექტორებთან ერთად.

სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და დროის განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთი ხელშეკრულებით განპირობებული ძირითადი რისკი, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას, არის ის, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ შესაძლებელია გადააჭარბოს სადაზღვევო შემოსავლებს, რაზეც გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნის შემდგომი ცვლილება.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს. ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტის ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს საოპერაციო ხარჯებს, რასაც აკლდება საპროცენტო ხარჯი, შეფარდება წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან, ჯგუფის ზარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითველება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ზარალიანობის კოეფიციენტი	82.13%	82.16%
ხარჯების კოეფიციენტი	12.35%	12.11%
კომბინირებული კოეფიციენტი	**94.48%**	**94.27%**

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი არაფინანსური მაჩვენებელი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- იმედი L - ის დაზღვეულთა რაოდენობა შეადგენს 210,000 მდე ადამიანს.
- იმედი L - ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 603 ადამიანს.

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

კომპანიაში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი.

კომპანიაში დანერგილია ე.წ. მამხილებელი (whistleblowing) და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. მამხილებელი პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომელს აქვს საშუალება ანონიმურად დასვას საკითხი ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულობასა და სამართლიანობაზე. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და დირექტორთა საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურადაა დანერგილი კომპანიაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია.

ასევე კონფლიქტების ავტორიზაციის პოლიტიკის მიხედვითაც ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს კომპანიის მასშტაბით და ვეხმარებით დირექტორთა საბჭოს მსგავსი საკითხების მონიტორიგსა და კონფლიქტის დაშვებადობის განსაზღვრაში.

გენერალური დირექტორი

ნოდარ გელოვანი:

24 სექტემბერი 2025